EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

სტუდია მონიტორი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ
(Studio Monitori and Others v. Georgia)
საჩივრები N 44920/09 და N 8942/10
30 იანვარი 2020

ფაქტები:

N 44920/09 საჩივარში მომჩივნებს წარმოადგენდნენ სტუდია მონიტორი, რომელიც ახორციელებს ჟურნალისტურ გამოძიებას და საქართველოს მოქალაქე, 1968 წელს დაბადებული ნინო ზურიაშვილი, რომელიც საგამოძიებო ჟურნალისტიკით არის დაკავებული.

N 8942/10 საჩივარში კი მომჩივანი არის საქართველოს მოქალაქე, 1974 წელს დაბადებული გიორგი ნოზაძე.

ქალბატონი ზურიაშვილი არის ჟურნალისტი და სტუდია მონიტორის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 2007 წელს მან თხოვნით მიმართა ხაშურის რაიონული სასამართლოს კანცელარიას და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა. კანცელარიამ მას უარი უთხრა, მიუთითა რა კონფიდენციალური საგამოძიებო ინფორმაციის შესახებ დანაწესებზე და, ასევე, მოცემულ საქმეში დამნაშავედ ცნობილი მამაკაცისგან საკუთარი პირადი ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის მოპოვების საჭიროებაზე. ქალბატონმა ზურიაშვილმა კანცელარიის უარი სასამართლო წესით გაასაჩივრა, კერძოდ, მან მიმართა ბორჯომის რაიონულ სასამართლოს, რომლის წინაშეც დავობდა, რომ დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ელ ნაწილში დადგენილი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერზე დაყრდნობით, მან მოცემულ სხდომაზე მოკლედ ახსენა, რომ აღნიშნული საქმის მასალებზე წვდომა მას

ჟურნალისტური გამოძიებისთვის სჭირდებოდა. თუმცა, მას არანაირი ინფორმაცია არ წარმოუდგენია იმ პროექტზე, რომელზეც მუშაობდა და ეყრდნობოდა მხოლოდ ზოგად არგუმენტს, რომ მისი აღნიშნული უფლებით სარგებლობა არ უნდა შეზღუდულიყო.
ბორჯომის რაიონულმა სასამართლომ მისი საჩივარი არ დააკმაყოფილა და კანცელარიის უარი ძალაში იქნა დატოვებული. მოცემული გადაწყვეტილება მომჩივანმა შემდგომ ინსტანციებშიც გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ, 2008 წლის ივნისში მისი საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო.

რაც შეეხება N 8942/10 საჩივარს, აღსანიშნავია, რომ მომჩივანი - ბატონი ნოზაძე, პრაქტიკოსი იურისტი იყო. 2006 წლის მარტში ის თაღლითობაში ცნეს დამნაშავედ ფულის უკანონოდ მისაკუთრებისთვის, რომელიც მას კლიენტმა გადასცა შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე განსაზღვრული გირაოს თანხის დასაფარად. საპატიმროში ყოფნისას, მან 2007 წლის ოქტომბერში თხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას, გაეგზავნათ მისთვის სისხლის სამართლის ექვს სხვადასხვა საქმეზე წინასასამართლო ეტაპზე აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინებათა ასლები. მას არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ იყო დაინტერესებული აღნიშნული ინფორმაციით.
მას შემდეგ, რაც კანცელარიამ მას მიაწოდა მოცემული ექვსი საქმის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილები, მან სრულ განჩინებათა ასლების გაცემაზე უარი სასამართლო წესით გაასაჩივრა, ეყრდნობოდა რა მის უფლებას, შეუფერხებელი წვდომა ჰქონოდა საჯარო ინფორმაციაზე. ეროვნულ დონეზე სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი საჩივარი. აღნიშნულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო, რომელმაც 2009 წლის ივლისის განჩინებით დაუშვებლად ცნო მომჩივნის საკასაციო საჩივარი.

მომჩივნები, კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის გაცემაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება:

(ა) ზოგადი პრინციპები მე-10 მუხლის გამოყენებასა და ჩარევის არსებობასთან დაკავშირებით

39. სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ანიჭებს პირს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, ასევე, არ ავალდებულებს მთავრობას, რომ პირს მიაწოდოს ამ სახის ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, ამგვარი უფლება ან ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, პირველ რიგში, როდესაც არსებობს იურიდიული ძალის მქონე სასამართლო ბრძანება ინფორმაციის გაცემის შესახებ და მეორე, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენს პირის გამოხატვის თავისუფლების

უფლებით სარგებლობის არსებით ნაწილს. თუ რა შემთხვევაში და რა მოცულობით წარმოადგენს ინფორმაციაზე წვდომის შესახებ უარი, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, უნდა შეფასდეს თითოეულ საქმეში ინდივიდუალურად და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. *Magyar Helsinki Bizottság*, §§ 156-57). იმისათვის, რომ დადგინდეს, შეიძლება თუ არა მე-10 მუხლი გავრცელდეს ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულების უარზე, ამისათვის სიტუაცია უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმებით: ა) ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი; ბ) მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება; გ) ინფორმაციის მაძიებლის განსაკუთრებული როლი საზოგადოებისთვის მის „მიღებასა და გავრცელებაში"; და დ) იყო თუ არა ინფორმაცია მზა და ხელმისაწვდომი (იქვე, §§157-70).

(ბ) წინამდებარე პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

40. N44920/09 საჩივართან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, პირველი და მეორე მომჩივანი, როგორც ჟურნალისტები, უდავოდ ექცეოდნენ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნის უფლების ფარგლებში (შედარებისთვის იხ., *Roşiianu v. Romania*, no. 27329/06, § 61, 24 June 2014), თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი აკმაყოფილებდა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამის კრიტერიუმს. ამ უკანასკნელის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ეროვნულ სამართალწარმოებაში მომჩივნებმა არ მიუთითეს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე ნებართვის მოთხოვნის მიზანი. მომჩივნებმა სასამართლოს კანცელარიას არ განუმარტეს, თუ რატომ იყო ეს დოკუმენტები აუცილებელი მათი უფლების განხორციელებისთვის - თავისუფლად მიიღონ და სხვებს მიაწოდონ ინფორმაცია. აღნიშნა რა ამ უმოქმედობის შესახებ, ეროვნულმა ხელისუფლებამ მოუწოდა მომჩივნებს აღმოეფხვრათ არსებული ხარვეზი და დაეზუსტებინათ მათი მოთხოვნის მიზანი. უფრო მეტიც, ხელისუფლებამ გამოთქვა მზაობა, მომჩივნების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, გადაეხედა პირვანდელი უარისთვის. მიუხედავად ამისა, მომჩივნებმა უგულვებელყვეს ეს შესაძლებლობა და მის ნაცვლად გადაწყვიტეს საჩივარი შეეტანათ ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ, საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციაზე შეუზღუდავი წვდომის შესახებ სადავო უფლების დარღვევისათვის (შედარებისთვის იხ. *Sioutis v. Greece* (განჩინება), no. 16393/14, § 27, 29 აგვისტო, 2017, და ასევე, *mutatis mutandis*, *Bubon v. Russia*, no. 63898/09, § 47, 7 თებერვალი, 2017). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი პირებს არ აძლევს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის აბსოლუტურ უფლებას (იხ. *Magyar Helsinki Bizottság*, ციტირებული ზემოთ, § 156).

41. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გარეშეც, პირველ და მეორე მომჩივნებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ ჟურნალისტური გამოძიება. ამრიგად, შესაბამისი ეროვნული სამართალწარმოების შედეგებისთვის დალოდების გარეშე, რომლებიც მომჩივნებმა თავად დაიწყეს ეროვნული სასამართლო ხელსუფლების წინააღმდეგ, მათ დაასრულეს

ჟურნალისტური გამოძიება და მისი შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმის გარემოებებიდან შეიძლება დადგინდეს, რომ პირველი და მეორე მომჩივნის მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის მოთხოვნა არ იყო მათი გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის არსებითი ხასიათის (იხ. *Magyar Helsinki Bizottság*, cited above, § 159, და შედარებისთვის Cangı v. Turkey, 29 January 2019, § 34). მართლაც, მეორე მომჩივანმა ეროვნული სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ მას, როგორც ჟურნალისტს, [მოთხოვნილი] ინფორმაცია არ სჭირდებოდა ჟურნალისტური აქტივობების განხორციელებისათვის და მისთვის პრინციპულ საკითხს წარმოადგენდა, მოეპოვებინა სასამართლოს აღიარება, რომ გააჩნდა შეუზღუდავი უფლება სახელმწიფო დაწესებულების მფლობელობაში არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. რაც შეეხება პირველი და მეორე მომჩივნების არგუმენტს მათთვის საინტერესო ინფორმაციის გამჟღავნებასა და მათი საბოლოო ჟურნალისტური პროდუქტის ხარისხს შორის ურთიერთკავშირზე, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ მსგავსი არგუმენტი ეროვნული სასამართლოების წინაშე.

42. რაც შეეხება N44920/09 საჩივარს, აღსანიშნავია, რომ მესამე მომჩივანმა, პირველი და მეორე მომჩივნის მსგავსად, არ გამოიჩინა ძალისხმევა, რათა სასამართლოს კანცელარიისთვის აეხსნა სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული ქსერო ასლების მოპოვების მიზანი, რაც შეუძლებელს ხდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, მიიღოს მომჩივნის არგუმენტი, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის არსებითი ხასიათის იყო (შეადარე, Cangi, §§ 33 და 34). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაურკვეველია, საზოგადოებაში მესამე მომჩივნის როლი როგორ დააკმაყოფილებდა კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამის კრიტერიუმს. ამრიგად, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი არც ჟურნალისტი იყო და არც ,,საზოგადოებრივი დარაჯის'' წარმომადგენელი (იქვე, § 35). მომჩივანმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების პროცესში ვერ განმარტა, როგორ გაზრდიდა სახოგადოების ხელმისაწვდომობას ახალ ინფორმაციაზე ან როგორ შეუწყობდა ხელს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის გავრცელებას, სისხლის სამართლის ექვს საქმეზე პატიმრობის შეფარდების შესახებ განჩინებების ასლების მოპოვებით, რომლებიც მას არ ეხებოდა (შეადარე Magyar Helsinki Bizottsag, ციტირებული ზემოთ, §§164-168, და Sioutis, ციტირებული ზემოთ, § 31). [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო აგრეთვე არ არის დარწმუნებული იმაში, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია აკმაყოფილებდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საჯარო ინტერესის ტესტს (იხ., Magyar Helsinki Bizottsag, ციტირებული ზემოთ, §161). სასამართლო, მართალია, ცნობს სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროობის პრინციპის მნიშვნელობას და გამჭვირვალობისა და მართლმსაჯულების კარგი ადმინისტრირების ინტერესისთვის აღიარებს, რომ გადაწყვეტილებები, რაიმე ფორმით, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, თუმცა სასამართლო აცხადებს, რომ მოთხოვნა, რომლის მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინტერესის მქონე უნდა იყოს, რათა ის

გასაჯაროვდეს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, განსხვავებულია, რადგან ის დაკავშირებულია დოკუმენტის შინაარსთან, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს განჩინებასთან (შეადარე, Sioutis, ციტირებული ზემოთ, § 29, და Osterreichische Vereinigung zur Erhaltung, Starkung und Schaffung v. Austria, N39534/07, §§ 35-36 და 46, 28 ნოემბერი, 2013). ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოთხოვნილი დოკუმენტები იყო თუ არა საჯარო ინტერესის მქონე, მომჩივანმა განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ეხებოდა კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულზე ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებს. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, ის ფაქტი, რომ ამ საქმეებზე ბრალდებული პირები ცნობილი საჯარო პირები იყვნენ, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, თავისთავად არ არის საკმარისი, რათა გამართლდეს მიმდინარე სისხლისსამართლებრივ საქმეზე შესაბამისი სასამართლო განჩინებების სრული ასლების გასაჯაროვება, რაც აგრეთვე მოიცავს იმ ნაწილებს, რომლებიც იმ დროს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, მესამე პირისთვის, რომელიც მოქმედებს კერძო საქმიანობის ფარგლებში (შეადარე, mutatis mutantis, Sioutis, ციტირებული ზემოთ, §§29 და 30). ნამდვილად, საჯარო ინტერესი განსხვავდება მაყურებლის ცნობისმოყვარეობისგან (შეადარე, mutatis mutantis, Magyar Helsinki Bizottsag, ციტირებული ზემოთ, §161).

43. ზემოთ მოცემული მსჯელობა, მე-10 მუხლის გამოყენებასა და ჩარევის არსებობასთან დაკავშირებით, საკმარისი იყო, რათა სასამართლოს დაესკვნა, რომ არცერთ საჩივართან მიმართებით ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

44. და ბოლოს, რაც შეეხება N8942/10 საჩივარს, მესამე მომჩივანი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაყრდნობით, ასაჩივრებდა ეროვნული სამართალწარმოების ხანგრძლივობას.

45. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სამივე ინსტანციის დონეზე ეროვნული სამართალწარმოება გაგრძელდა დაახლოებით ორი წლისა და სამი თვის განმავლობაში და დაადგინა, რომ საჩივარი აშკარად უსაფუძვლო იყო. ამდენად, კონვენციის 35 §§ 3(ა) და 4 საფუძველზე ის მიუღებლად ცნო.

დასკვნა: წინამდებარე საქმეზე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.